საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№10 პერიოდული გამოცემა 2016 წ. ოქტომბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ოქტომბერი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების თვე იყო. ხელისფლების არჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების შედეგად დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელი ღირებულება და დემოკრატიის რეალიზების უმთავრესი ფორმაა. არჩევნების დემოკრატიულ პირობებში ჩატარებულად გამოცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი კენჭისყრის პროცესი მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი დაცვის პირობებში წარიმართება, კენჭისყრის დროს არსებულ დარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირება იქნება ადეკვატური, საჩივრების და სარჩელების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთებული და წინასაარჩევნო გარემო ძალადობისგან თავისუფალი.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 3
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 4
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 5
5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 10
6. წარმატებული საქმეები 11
7. მნიშვნელოვანი თარიღები 12
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 14
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15

მთელი ოქტომბრის თვე აქტიურად ვაკვირდებოდით წინასაარჩევნო პროცესებსა და **არჩევნების დღის მიმდინარეობას**. უნდა აღვნიშნო, რომ კენჭისყრის პროცესმა დიდწილად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა იყო დარღვევები, რომელთა სწორი კვალიფიკაცია და შემდგომი გამოძიება სამართალდამცავი სამსახურების აუცილებელი ვალდებულებაა. მოვუწოდებ მათ, დროულად და ეფექტურად გამოიძიონ ყოველი ასეთი ფაქტი და ძალადობის არც ერთი გამოვლინება არ დატოვონ ადეკვატური რეაგირების გარეშე.

ჩვენი მონიტორები 8 ოქტომბერს, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ 919 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მათ შორის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 5 დაწესე-

ბულებასა და 1 სამკურნალო დაწესებულებაში, სამეგრელოს რეგიონის საზღვრისპირა სოფელ ხურჩასა და რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში; დააკვირდნენ კახეთის რეგიონში, უჯარმის საარჩევნო უბანში ჯარისკაცების მიერ ხმის მიცემის პროცედურას. გადავამოწმეთ ცხელი ხაზის, მედიისა და არჩევნების პროცესში ჩართული სხვადასხვა აქტორების მხრიდან მიღებული ინფორმაცია, ასევე ცალკეული პროცედურების კანონშესაბამისობა.

დაფიქსირებულ ძალადობის ფაქტებს შორის განსაკუთრებულად მწვავე იყო **მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს** საარჩევნო უბანთან შექმნილი ვითარება, სადაც სამართალდამცავებსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირების შედეგად ორივე მხარის წარმომადგენლები დაზარალდნენ. ჩვენი ინიციატივით დავიწყეთ თბილისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 2 წარმომადგენლის ცემის ფაქტის შესწავლა. ზოგიერთ საარჩევნო უბანში **ხმების დათვლის დროს მომხდარი ინციდენტისას** დაზარალდნენ ადამიანები და დაზიანდა ქონება. ქუთაისის N90 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა ფიზიკური დაპირისპირება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის ორ საარჩევნო უბანში შეიჭრნენ უცხო პირები, დაარბიეს უბნები, დააზიანეს ინვენტარი, დაამტვრიეს საარჩევნო ყუთი, დაზარალდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.

სამწუხაროა, რომ საარჩევნო სუბიექტებს და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ავიწყდებათ, რომ სახელმწიფოს ინტერესები ყოველგვარ პოლიტიკურ ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანია და სწორედ სახელმწიფო ინტერესების გატარების იმედით ირჩევს მათ მოსახლეობა.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაზე პასუხისმგებლობა უპირველესად ხელისუფლებას ეკისრება. წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ რამდენიმე ინციდენტზე არაეფექტური რეაგირება, შესაძლოა, ერთ–ერთი განმაპირობებელი მიზეზი იყოს ძალადობის იმ ტალღისა, რომელსაც არჩევნების დღეს ჰქონდა ადგილი. სამომავლოდ, უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, თუ სამართალდამცავი სისტემა მოახერხებს დასაწყისშივე განმუხტოს დაძაბულობის კერები და ადეკვატური და უსწრაფესი რეაგირება მოახდინოს უკვე მომხდარ ფაქტებზე.

თვის ბოლოს დანიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გავმართეთ თემაზე - **„ბიზნესი და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“.**

ღონისძიებაზე ვისაუბრეთ ბიზნესის სექტორში ადამიანის უფლებების დაცვის ხარვეზებზე, რომლებიც წლებია არსებობს, მაგრამ მსხვილი კომპანიების ამოქმედებასთან ერთად კიდევ უფრო გამწვავდა და გამოიკვეთა. განვიხილეთ ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის საკითხები და სახელმწიფოს ვალდებულებები სამართლებრივი მექანიზმების შესაქმნელად. ყველანი ერთხმად შევჯერდით, რომ გლობალურ ფასეულობათა ჯაჭვში გაერთიანებისა და მათ შორის ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის აუცილებელია ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაფუძნებული შრომის ინსპექციის ქმედითი მექანიზმის შექმნა.

ამ ფონზე უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად შემაშფოთებელია სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა დაშავებისა და გარდაცვალების თვალსაზრისით **არსებული რეალობა.** ოქტომბრის თვეში სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის სავარაუდო დარღვევის მიზეზით, თბილისში 2 დღეში მშენებლობაზე დასაქმებული ორი პირი გარდაიცვალა. **ტყიბულში მაღაროელი დაიღუპა**.

მარტო გასულ წელს სამუშაო ადგილზე დაშავდა და გარდაიცვალა 123 ადამიანი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სახელმწიფო პრაქტიკულად ელის ადამიანების დაშავებისა და გარდაცვალების შემთხვევებს და შემდეგ მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებში რეაგირებს, თუმცა ყოველთვის არც დაწყებული გამოძიება სრულდება სათანადო შედეგებით. სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის წესით რეაგირება, რომელიც ეფექტური არ არის, ვერ ჩაითვლება საკმარის ბერკეტად სამომავლო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას დასაქმებული ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა და დაუყოვნებლივ შექმნას მინიმალური მექანიზმები ამის უზრუნველსაყოფად, შრომის ინსპექციისა და შრომის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების სახით.

ოქტომბრის თვის სასიამოვნო აქტივობათა შორის **კონკურსი „მე – ომბუდსმენი–2016“** დაწყებაა, რომელიც უნიკალურ შანსს აძლევს სკოლის მოსწავლეებს გაეცნონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლებს და სახალხო დამცველის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის საქმიანობას. ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი კულტურა სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად წინაპირობას წარმოადგენს და ეს კონკურსი ამ კულტურის გავრცელების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საყოველთაო მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ადამიანის უფლებების სფეროში ცნობიერების ამაღლება, რასაც შედეგად ქვეყანაში კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტური რეალიზება მოყვება.

ოქტომბერში ქმედუნარიანობის საკანონმდებლო რეფორმის შესახებ კვლევა მოვამზადეთ და რეკომენდაციები შევიმუშავეთ; ვისაუბრეთ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უფლებების რეალიზების ასპექტებზე, მათ შორის ცალკეული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობაზე.

წარმოვადგინეთ სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის ხუთი დაწესებულების მონიტორინგის შედეგების შესახებ; შევამოწმეთ რამდენად შეესაბამება ბენეფიციართა უფლებების დაცვის ხარისხი საერთაშორისო დოკუმენტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს; გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, შევიმუშავეთ განსახორციელებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები.

ასევე, სპეციალური ანგარიში წარმოვადგინეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ; განვიხილეთ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები და სხვა ამ მიმართულებით აქტუალური საკითხები.

გავმართეთ საჯარო დებატები სიძულვილი მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე, სადაც რელიგიის, რასის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების საკითხები განვიხილეთ და რეკომენდაციები წარმოვადგინეთ.

გარდა ამისა, ოქტომბრის თვეში ჩვეულებისამებრ მოვამზადეთ რეკომენდაციები, საჯარო განცხადებები, გავმართეთ შეხვედრები, გავწიეთ ყველა ის საქმიანობა, რაც კანონით გვაქვს დაკისრებული. ამის შესახებ ქვემოთ მოცემულ საინტერესო საინფორმაციო ბიულეტენში შეიტყობთ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება მოხეში მუსლიმების ლოცვის უფლებასთან დაკავშირებით

15 ოქტომბერი. მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში სამართალდამცავებმა იმ შენობაში შესასვლელი გადაკეტეს, რომელსაც ადგილობრივი მუსლიმი თემის წარმომადგენლები მეჩეთად მიიჩნევენ და რამდენიმე დღეა ლოცულობდნენ. შენობა ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება, თუმცა სადავო შენობის კუთვნილების შესახებ სპეციალურ კომისიას 2 წელია გადაწყვეტილება არ მიუღია.

როგორც მუსლიმები აღნიშნავენ, გარდა ამ სადავო ნაგებობისა, ლოცვისა და რელიგიური რიტუალებისთვის სხვა ადგილზე ხელი არ მიუწვდებათ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რელიგიის თავისუფლების ერთ-ერთი გამოხატულება ღვთისმსახურების ადგილის არსებობაა, რის შესაძლებლობას მუსლიმი თემი ამჟამად მოკლებულია. რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის ხელშეშლა იწვევს მათ უთანასწორო მდგომარეობას და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, წარმოადგენდეს დისკრიმინაციას რელიგიის ნიშნით.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, სწრაფად გადაწყვიტოს სადავო შენობის კუთვნილების საკითხი და განსაზღვროს სალოცავი ადგილი, რომელიც მისაღები იქნება მუსლიმი თემისათვის და არ შექმნის რელიგიური ნიშნით დაპირისპირების საფუძველს.

2.2. განცხადება ტრანსგენდერი ქალის მიმართ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით

14 ოქტომბერს ტრანსგენდერი ქალისთვის მძიმე ფიზიკური დაზიანებების მიყენების შესახებ განცხადებაში საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს პროკურატურას, ჩაატაროს ყოვლისმომცველი, სრული და ობიექტური გამოძიება, ასევე, საგამოძიებო პროცესი წარმართოს სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიმართულებით.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსგავსი სახის დანაშაულებზე ჭეშმარიტების დადგენა და მათ

შორის, დანაშაულის რეალური მოტივის იდენტიფიცირება, არამხოლოდ კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების, არამედ მომავალში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით არის აუცილებელი. საზოგადოებაში გავრცელებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობის ფონზე არსებობს მსგავსი დანაშაულების განმეორების საფრთხე, მითუმეტეს, რომ საგამოძიებო ორგანოები დისკრიმინაციულ მოტივზე ძირითადად ყურადღებას არ ამახვილებენ.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა ინსტიტუტების მე-8 კონფერენცია

2–5 ოქტომბერს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ გაბიანმა ნიდერლანდების ქალაქ ამსტერდამში მიმდინარე შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა ინსტიტუტების მე-8 კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის, ჰოლანდიის შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორის და ნიდერლანდების სახალხო დამცველის მიერ იყო ორგანიზებული და მას 29 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენცია შეეხებოდა საერთაშორისო მისიებში მივლინებული სამხედროებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვას და ამ მხრივ ომბუდსმენთა როლის აღიარებასა და გაძლიერებას.

3.2. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ბიუროს სხდომა

12–14 ოქტომბერს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ბიუროს (GANHRI) შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ევროპის რეგიონის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსით საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დაესწრო. შეხვედრაზე ბიუროს წევრებმა ახალი სამწლიანი სტრატეგიული გეგმა, რეგიონულ დონეზე არსებული გამოწვევები და ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიშები განიხილეს.

3.3. შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან

24 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის მეცხრეკლასელ მოსწავლეებს უმასპინძლა.

უჩა ნანუაშვილმა ბავშვებს სახალხო დამცველის მანდატი და აპარატის მუშაობის სპეციფიკა გააცნო, დაათვალიერებინა სამუშაო გარემო, ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელთან მაია გედევანიშვილთან ერთად ბავშვთა უფლებებზე ესაუბრა. შეხვედრაზე მოსწავლეებისთვის საინტერესო ყველა კითხვას გაეცა პასუხი.

3.4. შეხვედრა სომხეთის სამოქალაქო საზოგადოების დელეგაციის წევრებთან

27 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატს სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრაზე სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ნათია კაციტაძემ და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა სტუმრებს სახალხო დამცველის მანდატი და აპარატის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებები გააცნეს.

შეხვედრა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ორგანიზებით გაიმართა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით საქართველოს სახალხო დამცველის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ისახავდა მიზნად.

3.5. შეხვედრა ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩთან

27 ოქტომბერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩს დესისლავა ივანოვას შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა, მათ შორის, პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარება, სასამართლოს და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა. სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და გალის რაიონში განათლების უფლების შეზღუდვას.

აღსანიშნავია, რომ ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე მესამე წელია ეხმარება სახალხო დამცველის აპარატს სხვადასხვა პროექტების, მათ შორის ამჟამად მიმდინარე პროექტის – „სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება კახეთის რეგიონში“ განხორციელებაში. ელჩმა დესისლავა ივანოვამ საქართველოს ომბუდსმენის აპარატისადმი სრული მხარდაჭერის და თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

4.1. ეუთოს რეგიონის პრევენციის ეროვნული მექანიზმების ყოველწლიური სამუშაო შეხვედრა

13-14 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლებმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ეუთოს რეგიონის პრევენციის ეროვნული მექანიზმების ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

შეხვედრაზე განიხილეს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ძალაში შესვლიდან, 10 წლის განმავლობაში, წამების პრევენციის კუთხით მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები; პრევენციის ეროვნული მექანიზმების რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების სტრატეგია. ხაზი გაუსვეს წამების პრევენციის მიზნით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების მნიშვნელობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა, მიღწეული შედეგები და არსებული გამოწვევები გააცნო.

ღონისძიება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ორგანიზებით გაიმართა.

4.2. ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე

17 ოქტომბერს სახალხო დამცველმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ფარგლებში, ქმედუნარიანობის საკანონმდებლო რეფორმის შესახებ მომზადებული კვლევა წარმოადგინა.

სახალხო დამცველის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მხარდაჭერა უნდა დაინიშნოს მხოლოდ იმ უფლებების, ან/და მისი იმ ასპექტების რეალიზაციისთვის, რომელიც პირის ინტერესებიდან გამომდინარეობს; აუცილებელია სასამართლოებმა უზრუნველყონ საპროცესო ვადების დაცვა, ასევე მეტი ყურადღება დაუთმონ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის პრობლემას. საჭიროა კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირს უფლებას მისცემს გაასაჩივროს მხარდამჭერის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში.

4.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში

20 ოქტომბერს სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებების მონიტორინგის შედეგების შესახებ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის და „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფოს ხუთი რეზიდენტული დაწესებულება, მათში განთავსებულ ბენეფიციართა უფლებების დაცვის ხარისხი და საერთაშორისო დოკუმენტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობა შეამოწმეს.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, პროფესიული და დამხმარე კადრების სიმწირე, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია, ასევე დაწესებულების ადმინისტრირების ხარვეზები და უხარისხო სამედიცინო დახმარება შეუძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებას, რაც ბენეფიციართა უფლებების უხეში დარღვევების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოპყრობის მაპროვოცირებელი ხდება, ზოგჯერ კი იწვევს შშმ პირთა სიცოცხლის უფლების დარღვევას.

გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებების, შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების და ბავშვთა სახლების ადმინისტრაციის მიმართ რეკომენდაციები შეიმუშავა და მოითხოვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა, ზრუნვის ადეკვატური ფორმებისა და პირობების შექმნა, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ყველა სახის დისკრიმინაციის პრევენცია, დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება, მაქსიმალური ძალისხმევის მიმართვა ბენეფიციართათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულ პროცესში ყველანაირი რისკის მინიმუმამდე დაყვანისკენ, შშმ პირების ოჯახებთან და შვილებთან კონტაქტის მიზნით მუშაობის გაძლიერება, საჭირო ღონისძიებების გატარებით დაწესებულებების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და სხვა.

4.4. სახალხო დამცველმა საკონსულტაციო საბჭოს ახალი წევრები შეარჩია

21 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ გაეროს 2006 წლის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს ახალი წევრები – მარინე მამულია და ეკატერინე ტოგონიძე შეარჩია.

პროფესიით ექიმი და სამოქალაქო აქტივისტი, ორგანიზაცია „მომავალი იწყება დღეს“ წარმომადგენელი **მარინე მამულია** 2010 წლიდან ხელმძღვანელობს უსინათლოთა და მცირემხედველ ბავშვთა და მოზარდთა განათლების, სივრცითი და საყოფაცხოვრებო ორიენტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის საკითხებს, არის სხვადასხვა პროექტის ავტორი.

ორგანიზაცია „ყოველი მეათე ჩვენგანის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი, მწერალი, სამოქალაქო აქტივისტი და სოციალური პროექტების ავტორი **ეკატერინე ტოგონიძე** 2010 წლიდან მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატიკაზე.

4.5. სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

25 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარუდგინა.



ანგარიში მომზადდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მასში განხილულია ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, თანასწორობის დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემები, სახალხო დამცველის მიერ მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის გამოყენება, სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციების და ზოგადი წინადადებების, საერთო სასამართლოებში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების მიმოხილვა, სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ტენდენცია, საერთო სასამართლოების, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის აქტუალობის საკითხი.

4.6. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების საინფორმაციო შეხვედრა

21 ოქტომბერს სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მონაწილეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო შეხვედრაში. დისკუსიის დროს მედეა ტურაშვილმა ჟენევის დისკუსიების დღის წესრიგში ორი საკითხის განხილვის შეტანა მოითხოვა: 1. აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებულთა მდგომარეობა და მათდამი მოპყრობა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას; 2. გალის რაიონში მცხოვრებთა დოკუმენტების საკითხი, როდესაც იქ მცხოვრებლებს არ აქვთ არც აფხაზური დოკუმენტები, რის გამოც, ვერ ახერხებენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას და საბუთების გაკეთებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით არასრულწლოვნებს აწუხებთ, რადგანაც ეზღუდებათ განათლებისა და გადაადგილების უფლება.

ღონისძიება შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა.

4.7. სიძულვილის ენა კონფლიქტების გაშუქების დროს

22 ოქტომბერს, სომხეთის დედაქალაქ ერევანში სახალხო დამცველის მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართველი, აფხაზი და ოსი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებული იყო „სამოქალაქო მოსმენების კავკასიური ცენტრის“ მიერ. შეხვედრის განსახილველი თემა იყო სიძულვილის ენა მედიაში.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ აფხაზური და ოსური თემატიკა ქართულ მედიაში აქტუალური აღარაა და იშვიათად არის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკური თუ უფლებრივი მდგომარეობის სიღრმისეული განხილვა.

4.8. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა სამცხე-ჯავახეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადვოკატებთან

25 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამცხე-ჯავახეთს ოფისის წარმომადგენლები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები სამცხე–ჯავახეთში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სახალხო დამცველის მანდატისა და საქმიანობის გაცნობა, ასევე პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებისა და დაკავებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება.

შეხვედრაზე კონკრეტული საქმეები და ის სირთულეები განიხილეს, რომელსაც ადვოკატები მუშაობისას აწყდებიან. ისაუბრეს დაკავების დროს პირისთვის მისი უფლებების და ბრალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრობლემაზე, ასევე ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავებულის დაკითხვის პროცედურების დარღვევის შემთხვევებზე.

4.9. საჯარო დებატები: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

26 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სიძულვილი მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე საჯარო დებატები გამართა. შეხვედრაზე განიხილეს რელიგიის, რასის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების საკითხი.

სახალხო დამცველის მთავარი რეკომენდაციაა – საქართველოს პროკურატურამ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე გაავრცელოს ის მიდგომა, რომელიც ზოგადად დანაშაულის მოტივის გამოკვეთის მიზნით გამოიყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დისკრიმინაციული მოტივი ერთმნიშვნელოვანია. თუმცა, პროკურატურა ძირითადად ასეთ საქმეებზე გამოძიებას ან საერთოდ არ იწყებს, ან წყვეტს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გაუთვალისწინებლობა იწვევს ასეთი კატეგორიის დანაშაულების მნიშვნელობის უგულებელყოფას და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაშიც, დამნაშავეს არ აქვს იმის რეალური აღქმა, თუ რისთვის დაისაჯა. შესაბამისად, სასჯელს არ აქვს პრევენციული ეფექტი.

საჯარო დებატები დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ მიერ.

4.10. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა

27-29 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელზეც ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, მიღწეული წარმატებები და ძირითადი გამოწვევები განიხილეს.

შეხვედრაზე ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საბჭოს მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა და საქმიანობის უახლოესი პერიოდის გეგმა განსაზღვრეს. საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა საბჭოს სტრუქტურული მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხზე ისაუბრეს.

4.11. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის გენერალური ასამბლეა

26-28 ოქტომბერს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში საქართველოს სახალხო დამცველის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო კვირკველია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) გენერალურ ასამბლეას, ასევე ფინანსური კომიტეტისა და ევროპის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრებს დაესწრნენ.

ფინანსური კომიტეტის შეხვედრის ფარგლებში, კომიტეტის წევრებმა შეაჯამეს მიმდინარე წლის ბიუჯეტი და ისაუბრეს 2017 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ნიკო თათულაშვილმა ადამი-

ანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის 2016 წლის ფინანსური ანგარიში წარადგინა და ქსელის წევრებს ფინანსური კომიტეტის სამომავლო გეგმები გააცნო.

გენერალურ ასამბლეაზე ორგანიზაციის წევრებმა 2016 წლის საქმიანობა შეაჯამეს და ახალი აქტივობები დაგეგმეს, ტერორიზმის მიმართულებით არსებული გამოწვევები განიხილეს და გლობალური პრობლემის გადაწყვეტისკენ მიმართულ აქტივობებზე იმსჯელეს.

4.12. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „ბიზნესი და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“

31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დანიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად თბილისში, საერთაშორისო კონფერენცია გამართა თემაზე - „ბიზნესი და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“. კონფერენციას საერთაშორისო ექსპერტები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების და მსხვილი ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიების გახსნაზე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ პაველ სულიანძიგამ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხათუნა თოთლაძემ მიმოიხილეს რეგიონში ადამიანის უფლებებზე ბიზნეს გარემოს გავლენის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

კონფერენციის ფარგლებში გამართულ სესიებზე განიხილეს ადამიანის უფლებების სფეროში ბიზნესისა და სახელმწიფოების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების საერთაშორისო და რეგიონული ჩარჩოები; ევროპის ქვეყნების მიერ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელების პროცესები და ევროპის გამოცდილების საფუძველზე, საქართველოში საკითხის განვითარების ეტაპები ჩამოაყალიბეს; ისაუბრეს შრომის უფლებებზე, შრომის საერთაშორისო სტანდარტებზე, საქართველოში სამუშაო ადგილებზე გამოვლენილ დისკრიმინაციაზე, სოციალურ უფლებებზე, მასშტაბურ პროექტებსა და მათ ზეგავლენაზე გარემოზე. განიხილეს ადეკვატური ანაზღაურების, კონტრაქტის ფორმების, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის, კორპორატიულ–სოციალური თანამშრომლობის და დავის განხილვის, მათ შორის კომპანიების შიგნით მსგავსი მექანიზმების შექმნისა და დახვეწის საკითხები.

კონფერენციის მეორე დღეს, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებასთან ერთად ისაუბრეს პრაქტიკულ გზებსა და ინიციატივებზე, სახელმწიფოს როლზე ბიზნესში კორპორატიული პასუხისმგებლობის განვითარების კუთხით; განიხილეს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესსექტორში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე სახალხო დამცველი დიდი ხანია საუბრობს, თუმცა მსგავსი ხასიათის მასშტაბური ღონისძიება, საერთაშორისო აქტორების მონაწილეობით, საქართველოში პირველად ჩატარდა და უჩა ნანუაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ შეხვედრების შედეგად

მიღებული საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს ხელისუფლებას პრობლემის სიღრმეებისა და ახალი მიდგომების მოძიებაში და შედეგის მომტანი გადაწყვეტილებების შემუშავებაში.

4.13. ტრენინგი პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების შესახებ

პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სახალხო დამცველს და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს 2016 წლის 1 სექტემბრიდან პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებებისა და პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მატერიალური პირობების ფოტოგადაღების უფლება მიენიჭათ. ამ ახალი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის **28-30 ოქტომბერს,** სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და რეგიონული დეპარტამენტების თანამშრომლებს ფოტოგადაღების საკითხებზე 3 დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ.

ტრენინგზე მონაწილეები გაეცნენ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების მარეგულირებელ წესებსა და შესაბამისი ოქმების შევსების პროცედურას; ასევე ფოტოგადაღების საფუძვლებს, ფოტოკამერასთან მუშაობის და ფოტოების დამუშავების ტექნიკურ საშუალებებს. კურსი მოიცავდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, საცდელ ფოტოგადაღებას და გადაღებული ფოტოების განხილვას.

ღონისძიება ევროსაბჭოს პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში ჩატარდა.

5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

5.1. შეხვედრა ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლებთან

3 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში, ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებულ გაფიცულ მუშებს შეხვდნენ.

მუშები 13 დღიანი გაფიცვის პერიოდში ითხოვენ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებას, შვებულების და დასვენების დღეების დაწესებას, საჭიროების შემთხვევაში საავადმყოფოს ფურცლით სარგებლობას, გამართულ სამუშაო ტექნიკასა და სათანადო ეკიპირებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, გვირაბის აფეთქების შემდეგ სამუშაოების ერთი საათით შეჩერებას, კვებას და სამედიცინო მომსახურებას.

5.2. საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან

20 ოქტომბერს რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების პროექტ „მომავლის თაობის“ ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის ოფისში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. მადონა ბასილაძემ მოსწავლეებს კონკურსი „მე-ომბუდსმენის“ პირობები გააცნო და კონკურსში მონაწილეობისაკენ მოუწოდა მათ. ასევე, ესაუბრა სახალხო დამცველის მანდატზე, მის საქმიანობაზე და სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ბროშურა დაურიგა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო

5.3. შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე

30 სექტემბერს სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომელმა თამთა ალანიამ რეგიონში მოქმედი ქალთა კლუბების, ზრდასრულთა განათლებისა და სათემო განათლების ცენტრების, საქართველოს პროკურატურის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური მოხსენება წარუდგინა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით (GAEN) გამართული ფესტივალი სახელწოდებით „გენდერი იწყება ჩემგან", გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში გაიმართა.

შიდა ქართლის წარმომადგენლობა

5.4. შეხვედრა სარკინიგზო გვირაბის მშენებლებთან

3 ოქტომბერს სახალხო დამცველის წარმომადგენელი შიდა ქართლში დალი ჯანიაშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში შეხვდა ზვარე-ქვიშხეთის მონაკვეთის ახალი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულ პირებს და ადგილზე გაეცნო მათ ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებს.

დასაქმებულები პრეტენზია გამოთქვეს სამუშაოს განსაკუთრებით მძიმე პირობებზე. კერძოდ, გვირაბში არ არის დაცული უსაფრთხოების მინიმალური ნორმები, რაც პერიოდულად დასაქმებულთა ფიზიკურ დაზიანებას იწვევს, არ არის სამედიცინო პუნქტი, ხშირა ხდება ანაზღაურების დაკლება, რომელიც ისედაც არ არის სამუშაოს პროპორციული. დასაქმებულები ითხოვენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ანაზღაურების გაზრდას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასა და შრომითი ხელშეკრულების დადებას.

6. წარმატებული საქმეები

6.1. სახალხო დამცველის რეკომენდაციით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დისციპლინური გადაცდომის ფაქტი დადგინდა

3 ოქტომბერი. საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმების შედეგად N8 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი დაადგინა და თანამშრომელს დისციპლინური სახდელი შეეფარდა.

პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში განთავსებულმა საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფმა ე.დ.-მ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს შეატყობინა, რომ დაწესებულების თანამშრომელმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

6.2. სახალხო დამცველის ძალისხმევით, მსჯავრდებულს ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, **17 ოქტომბერს** მსჯავრდებულ ა.მ.–ს კლინიკა „მედ ჯორჯიაში" ცხვირის ძგიდის ოპერაცია გაუკეთეს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ცნობით, რეფერალთა რიგის გადატვირთულობის გამო, სხვადასხვა სამედიცინო ინტერვენციები და მათ შორის ა.მ–ს ოპერაციაც საკმაოდ დიდი ხნით იყო შეჩერებული. მსჯავრდებულისთვის ოპერაციის დროულად ჩატარების რეკომენდაციით სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს არაერთხელ მიმართა. სახალხო დამცველის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.

6.3. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სახალხო დამცველის სამართლებრივი განმარტებები გაიზიარა

ბათუმის საქალაქო და გორის რაიონულმა სასამართლოებმა ორ ეპიზოდში ბრალდებულ გ.მ.-ს სხვადასხვა სასამართლო განჩინებებით საერთო ჯამში 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა დაკისრებული ჯარიმა სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის სახაზინო ანგარიშზე 2014 წლის 16 დეკემბერს გადარიცხა, აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 2016 წლის მაისში მას თანხის დაფარვა მოსთხოვა.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არსებითი გარემოებები ზედმიწევნით მხოლოდ სახალხო დამცველის სამართლებრივი განმარტებების შემდეგ შეისწავლა და მოვალეს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი დაადგინა.

17 ოქტომბერს აღსრულების ეროვნული ბიუროდან სახალხო დამცველს აცნობეს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერტორიულმა ორგანომ დაასრულა სააღსრულებო წარმოება და აღმასრულებელმა შესაბამის ორგანოებს გ.მ.-ს მიმართ გავრცელებული შეზღუდვების გაუქმების მოთხოვნით მიმართა.

6.4. ბათუმის საქალაქო სასამართლომ სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული მასალები და სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მტკიცებულებად მიიჩნია

21 ოქტომბერს სახალხო დამცველს შეატყობინეს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლო ქობულეთში, მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნის ხელის შეშლის ფაქტზე, გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების მასალებს დაეყრდნო.

დავა ქობულეთის მართლმადიდებელ მოსახლეობასა და მუსლიმური პანსიონის გახსნის მოსურნეებს შორის უკვე 2 წელია მიმდინარეობს.

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეებს ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა დაავალა.

საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნის ხელის შეშლის ფაქტი რელიგიის თავისუფლების და საკუთრების უფლების უზრუნველყოფის, ასევე სამართალდამცავთა მხრიდან ამ უფლებების რეალიზებისათვის პოზიტიური ვალდებულებების შესრულების კუთხით შეისწავლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლო სრულად დაეყრდნო სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ასახულ ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

7. მნიშვნელოვანი თარიღები

7.1. ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

პირველ ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის წლევანდელი თემა იყო ბრძოლა ასაკობრივი დისკრიმინაციის (ეიჯიზმის) წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ხანდაზმულ პირთა მონაწილეობას საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიმდინარე წელს გაეროს გენერალური მდივნის გზავნილი შეიცავდა მოწოდებას სახელმწიფოების მიმართ, მიიღონ საჭირო ზომები ხანდაზმულ პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში; შექმნან დამატებითი სამართლებრივი გარანტიები მათი დისკრიმინაციული პოლიტიკის, კანონებისა და მოპყრობისაგან დასაცავად.

ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებსა და საერთაშორისო მიდგომებს. ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ადეკვატურ საცხოვრებელზე, სოციალურ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე, რის გამოც, ისინი სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ხშირია მათზე ძალადობა. ქვეყანაში არსებული სახელმწიფო პროგრამებით არ არის გათვალისწინებული ხანდაზმულთა ალტერნატიული ზრუნვის სერვისები, არ ხდება მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, პრობლემურია ადგილობრივ დონეზე ამ პირთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხი.

არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით სახალხო დამცველი საჭიროდ თვლის სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის გააქტიურებას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაბერების საკითხის სხვადასხვა სექტორულ პოლიტიკასა და პროგრამაში ჩართავს, ხანდაზმულ პირთა უფლებების სათანადო დაცვას.

7.2. როშ ჰაშანას დღესასწაული

2-4 ოქტომბერს ებრაელები ახალი წლის დადგომას, წლის პირველ დღეებს - როშ ჰაშანას ზეიმობენ. ებრაული ტრადიციის მიხედვით, ეს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა და ადამისა და ევას მოვლენის დღეებია. ამ დღეებში ებრაელები გასულ წელს იაზრებენ და ახალი წლისათვის ემზადებიან.

საქართველოს სახალხო დამცველმა ებრაულ თემს როშ ჰაშანას დღესასწაული მიულოცა და მათ მხნეობა და კეთილდღეობა უსურვა.

7.3. ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე

10 ოქტომბერს მსოფლიო ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. 2016 წელს ამ დღის აღნიშვნის თემა იყო „ღირსება ფსიქიკურ ჯანმრთელობაში – პირველადი ფსიქოლოგიური და ფსიქიკური დახმარება ყველას“. საქართველოში მენტალური შეზღუდვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სათანადოდ დაცული არ არის. შენელებულია „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015–2020 წლის სამოქმედო გეგმის“, იმპლემენტაციის პროცესი. შედეგად არ

ხდება გეგმით დასახული მიზნებისა და მთავარი ფასეულობების დაცვა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულებების კომპლექსურმა შემოწმებამ ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მრავალი პრობლემა წარმოაჩინა, რომელთა გადასაჭრელად სახელმწიფომ ქმედებები უნდა განახორციელოს, რათა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანები და მათ ოჯახები სტიგმის, იზოლაციისა და დისკრიმინაციისგან დაიცვას.

7.4. გოგონათა საერთაშორისო დღე

11 ოქტომბერი გოგონათა საერთაშორისო დღეა. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას. ასევე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა ტიპის ჩაგვრასა და დისკრიმინაციაზე, რომელსაც გოგონები ყოველდღიურად აწყდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქციოს ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში დაინერგოს სწავლება გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით და ეს გახდეს სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილი.

7.5. იომ-ქიფურის დღესასწაული

საქართველოს სახალხო დამცველმა ებრაელ ხალხს იომ ქიფურის დღესასწაული მიულოცა, რომელიც იუდაიზმში ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა დღესასწაულია. ამ დღესასწაულის უმთავრესი მიზანი განვლილი წლის გაანალიზება და დანაშაულის მონანიებაა. ყოველ შემოდგომაზე, როშ ჰაშანას გასვლიდან მეათე დღეს, ყველა ებრაელი ყოველგვარ საქმიანობას აჩერებს და მარხულობს. 25 საათიანი მარხვა მზის ჩასვლიდან იწყება და მომდევნო საღამოს სრულდება. 2016 წელს იომ ქიფური **11 ოქტომბერს დაიწყო და 12 ოქტომბრის საღამომდე გასტანა.**

7.6. თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღე

15 ოქტომბერი – თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღე, 1970 წელს უსინათლოთა საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით დაწესდა. ამ დღის აღნიშვნა შეახსენებს საზოგადოებას ჩვენს გვერდით მცხოვრები ადამიანების შესახებ, რომლებსაც განსხვავებული საჭიროებები აქვთ.

საქართველოში უსინათლო და მცირემხედველი პირების სრულფასოვანი ცხოვრება და ადამიანის უფლებებით თანაბარი სარგებლობა ჯერ კიდევ სერიოზული გამოწვევაა. ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც უსინათლო და მცირემხედველი პირები შეძლებენ მათთვის საჭირო უნარ–ჩვევების შეძენა/განვითარებას, სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება უსინათლოთათვის დამხმარე საშუალებების მიწოდება (ხმოვანი საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნივთები, თვალის პროთეზი, ხელჯოხი), საზოგადოებრივ ადგილებში გათვალისწინებული არ არის ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობა. მისაწვდომობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს სატელევიზიო, ელექტრონული და ბეჭდური მედია; ლიტერატურა არ გამოიცემა ადაპტირებული ფორმით.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება უსინათლო პირების საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული, ხელმისაწვდომი სერვისები და პროგრამები, დასაქმება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის მხარდაჭერა.

7.7. აფხაზური ენის დღე

27 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა აფხაზურ საზოგადოებას და მთელს საქართველოს აფხაზური ენის დღე მიულოცა. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენა მეორე სახელმწიფო ენაა, თუმცა, იუნესკოს მონაცემებით აფხაზური ენა 2011 წლიდან გაქრობის პირას მდგარ ენათა რიცხვშია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიუხედავად მრავალი შემაფერხებელი გარემოებისა, საქართველოს ხელისუფლებამ მეტი კონკრეტული აქტივობა უნდა განახორციელოს აფხაზური ენისა და კულტურის დაცვისა და პოპულარიზებისთვის.

აღსანიშნავია, რომ **სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდს** სამუშაო ენათა შორის აფხაზური ენაც დაემატა და ომბუდსმენის აპარატის საქმიანობა რეგულარულად უკვე აფხაზურ ენაზეც გაშუქდება, რაც იმედია გარკვეულ წვლილს შეიტანს აფხაზური ენის გაქრობისაგან გადარჩენის საქმეში.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია

12 ოქტომბერს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გაავრცელა, სადაც მიულოცა საქართველოს მოსახლეობას 8 ოქტომბერს კონკურენტული და კარგად ორგანიზებული არჩევნების ჩატარება, რომელმაც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შეფასებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემით ჩაიარა. ეს არჩევნები ადასტურებს, რომ საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია.

მართალია, არჩევნების დღემ ჩაიარა წესრიგის დაცვით, თუმცა დღის განმავლობაში დაძაბულობამ იმატა და რამდენიმე საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ინციდენტს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მკაცრად გმობს ძალადობისა და დაშინების ამ ცალკეულ შემთხვევებს და საქართველოს სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის დაცვით, ყველა ინციდენტის დეტალური და დაბალანსებული გამოძიების ჩატარებისაკენ მოუწოდებს. ამასთან, მოუწოდებს ყველა პარტიას და მათ მხარდამჭერს არჩევნების მეორე ტურის პერიოდი მშვიდად და წყნარად გაიარონ. სახელმწიფო დეპარტამენტი აგრძელებს პროცესებზე დაკვირვებას.

„აშშ მზად არის გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსთან საერთო დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მის მისწრაფებებს უწყობს ხელს“, - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

8.2. სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილის საქმეზე საქართველოს მთავრობის საჩივარი განსახილველად მიიღო

17 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 5 მოსამართლისგან შემდგარმა კოლეგიამ განსახილველად მიიღო საქართველოს მთავრობის საჩივარი, რომლითაც იუსტიციის სამინისტრომ ივანე მერაბიშვილის საქმეზე ამავე სასამართლოს ერთ-ერთი პალატის მიერ 2016 წლის 14 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრა. შესაბამისად, 14 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება არ შედის ძალაში და არ მიექცევა აღსასრულებლად. გადაწყვეტილების თანახმად, მერაბიშვილის განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს დიდ პალატას 17 მოსამართლის შემადგენლობით, რომლის წინაშეც საქმის განხილვა დაიწყება თავიდან.

მართალია, 14 ივნისის გადაწყვეტილებით სტრასბურგის სასამართლოს პალატამ 7 მოსამართლის შემადგენლობით ერთხმად დაადგინა, ივანე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერება, თუმცა გაჩნდა კითხვის ნიშანი 2013 წლის 14 დეკემბერს მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის ეპიზოდთან დაკავშირებით, რასაც არ დაეთანხმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და კონვენციით დადგენილ ვადაში, 2016 წლის 13 სექტემბერს, ეს გადაწყვეტილება დიდ პალატაში გაასაჩივრა.

მოსამართლეთა კოლეგიამ განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილი საჩივარი დასაშვებად ცნო. იუსტიციის სამინისტროს საჩივარი ეყრდნობოდა იმას, რომ მერაბიშვილის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება იყო სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში პირველი შემთხვევა, რომელიც კონვენციის მე-18 მუხლთან (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) დაკავშირებულ ამავე სასამართლოს პრეცედენტებს ენინააღმდეგებოდა. კერძოდ, პირველად დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5.1. მუხლთან (ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად) ერთობლიობაში ისე, რომ თავად წინასწარი პატიმრობა სრულიად კანონიერად და საფუძვლიანად იქნა მიჩნეული. მანამდე მიღებულ ყველა პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, სტრასბურგის სასამართლო, როდესაც არ დაადგენდა კონვენციის მე-5.1. მუხლის დარღვევას (ანუ, როდესაც წინასწარი პატიმრობა კანონიერად ჩაითვლებოდა), ავტომატურად მე-18 მუხლის დარღვევასაც დაუდგენლად მიიჩნევდა, ან საერთოდ აღარ განიხილავდა ხოლმე საქმეს მე-18 მუხლის ჭრილში. უფრო მეტიც, სასამართლოს პრაქტიკაში არაერთი გადაწყვეტილებაა, როდესაც არ დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი პატიმრობა უკანონოდ იქნა მიჩნეული. იუსტიციის სამინისტრო აპელირებდა ასევე იმ გარემოებაზე, რომ სტრასბურგის სასამართლოს მყარად ჩამოყალიბებული პრეცედენტის თანახმად, მე-18 მუხლის დარღვევის მტკიცების სტანდარტი იმდენად მაღალია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოტივის არსებობა უნდა იყოს აბსოლუტურად ცხადი და ყოველგვარ ეჭვს

მიღმა, რაც მერაბიშვილის საქმეზე მხოლოდ მისივე სათუო და ზედაპირული განცხადებებით იყო გამყარებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ თავად სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება კანონიერად მიიჩნია, ხოლო სახეზე არ იყო 2013 წლის 14 დეკემბერს მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის ცალსახად დამადასტურებელი მტკიცებულება ან უდავო ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, როგორც ამას სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ითვალისწინებს, იუსტიციის სამინისტრომ მიიჩნია, რომ სტრასბურგის სასამართლოს შესაბამისმა პალატამ 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით გადაუხვია მე-18 მუხლთან მიმართებით მანამდე დადგენილ სტანდარტებს.

ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ამიერიდან სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატა მიიღებს, რომელიც საქმის გარემოებების განხილვას თავიდან შეუდგება.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

ოქტომბერში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა დაგეგმა და განახორციელა 38 ვიზიტი პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში და თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც 132 პატიმარი მოინახულა.

ვიზიტები სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და შეტყობინებების საფუძველზე დაიგეგმა. სისხლის სამართალი მართლმსაჯულების დეპარტამენტმა აღმოჩენილ სავარაუდო დარღვევებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოახდინა და სახელმწიფო ორგანოებს მიმართა.

9.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

ოქტომბრის თვეში პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N9 დაწესებულების მაღაზიასა და სამზარეულოში საკვებისა და სხვა პროდუქციის შენახვის პირობები, ვადები და ვარგისიანობა, N7 დაწესებულებაში კი სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი შეამოწმა.

პრევენციულმა ჯგუფმა N8 დაწესებულებაში „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, პატიმრებთან გასაუბრების კითხვარის პილოტირება მოახდინა.

21-24 ოქტომბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მონიტორინგი განახორციელა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში.

დაათვალიერეს არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს, შეამოწმეს დოკუმენტაცია, მათ შორის, გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები. გაარკვიეს, რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ.

9.3. მომართვიანობის სტატისტიკა

ოქტომბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 689 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 569 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 8
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 49
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი —241
- რეგიონული სამმართველო — 154
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 36
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 12
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 19
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 11
- თანასწორობის დეპარტამენტი — 37
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 2



ოქტომბრის თვეში მიღებული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ჯანმრთელობის უფლება — 3
- საარჩევნო უფლება — 28
- გამოხატვის უფლება — 1
- ინფორმაციის მიღების უფლება — 38
- დისკრიმინაცია — 17
- რელიგიის თავისუფლება — 1
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება — 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება — 5
- ხანდაზმულთა უფლებები — 3
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები — 1
- დევნილთა უფლებები — 8
- სოციალური დახმარებს საკითხი — 6
- შრომითი უფლებები — 7
- საკუთრების უფლება — 3
- უფლება სათანადო საცხოვრისზე — 5
- პატიმრობების პირობები — 158
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა — 50
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 19
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებულ ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებები — 1
- ბავშვის უფლებები — 26
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები — 10
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — 8
- სხვადასხვა — 290



კონტაქტი

ცხელი ხაზი – 1481

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
მობ.: 591 883538
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის ქ. №9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე